

**როგორ დავეგემოთ, განვახორციელოთ და შევაფასოთ პროექტი
გენდერული ასპექტების გათვალისწინებით?
სახელმძღვანელო კითხვები**

პროექტის დაგეგმვის ეტაპი:

- 1) რომელი სამიზნე ჯგუფები (მხოლოდ მამაკაცები, მხოლოდ ქალები, მამაკაცები და ქალები) არიან ჩართულები ზოგადად პროექტში ან მის თითოეულ კომპონენტში და როგორ?
- 2) რა სახის ინფორმაცია/კვლევა არის ხელმისაწვდომი თითოეულ სამიზნე ჯგუფზე?
- 3) რა ტიპის ინფორმაცია შეგროვდა ქალებისა და მამაკაცების საქმიანობაზე ოჯახსა და თემში? რამდენად საკმარისია ეს მონაცემები იმისათვის, რომ განისაზღვროს პროექტის მიზნები? არსებული მონაცემების მიხედვით, არის თუ არა განსხვავებები დასაქმების მხრივ სამიზნე ჯგუფებს შორის გენდერული ნიშნით?
- 4) რა სახის კონსულტაციები გქონდათ იმ სამიზნე ჯგუფებთან, ვისზეც აისახება პროექტის განხორციელებით მიღებული შედეგები?
- 5) რა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ქალებსა და მამაკაცებს ამ პროცესში? როგორ არიან ჩართულები ქალები და მამაკაცები პროექტის დაგეგმვის ყველა ეტაპზე?
- 6) რამდენად შეესაბამება/ითვალისწინებს პროექტის ამოცანები თემში ქალისა და მამაკაცის საჭიროებებს?
- 7) პროექტის ფარგლებში, რა სახის ღონისძიებები განხორციელდება, რათა გათვალისწინებული იყოს გენდერული საჭიროებები და ინტერესები?
- 8) რა წვლილს შეიტანენ ქალები ან/და მამაკაცები პროექტით დასახული ამოცანების შესრულებაში?
- 9) რამდენად მიუწვდებათ ხელი პროექტის ფარგლებში შექმნილ პროდუქტებზე/სერვისებზე ქალებსა და მამაკაცებს?
- 10) აქვს თუ არა პროექტს შესაძამისი რესურსები, რომ უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტების/სერვისების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა სამიზნე ჯგუფისათვის?
- 11) მოიცავს თუ არა პროექტი ისეთ ასპექტებს, რომელმაც შესაძლოა ზიანი მოუტანოს პროექტში მონაწილე, ან პროექტით მოსარგებლე ქალებსა და/ან მამაკაცებს?
- 12) რა სოციალური, სამართლებრივი, პოლიტიკური და კულტურული ბარიერები არსებობს, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ქალებს ან მამაკაცებს პროექტში მონაწილეობაში, ან პროექტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტებით/სერვისებით სარგებლობაში?

- 13) იმ შემთხვევაში, თუ ეს ბარიერები არსებობს, როგორ აპირებთ მათ გადალახვას?
- 14) რამდენად კარგად იცნობენ გენდერულ საკითხებს თქვენი პროექტის თანამშრომლები?

პროექტის მონიტორინგისა და შეფასების ეტაპი:

- 1) არის თუ არა მონაცემები დიფერენცირებული სქესის ნიშნით საბოლოო შეფასებისთვის?
- 2) რომელი მიზნობრივი ჯგუფები (მხოლოდ მამაკაცები, მხოლოდ ქალები, მამაკაცები და ქალები) არიან/იყვნენ ჩართულები ზოგადად პროექტში ან მის თითოეულ კომპონენტში? როგორ არიან/იყვნენ ისინი ჩართულები?
- 3) თანაბრად მონაწილეობენ/მონაწილეობდნენ, თუ არა პროექტში ჩართული ქალები და მამაკაცები პროექტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში?
- 4) პროექტის განხორციელებისას, წამოიჭრა თუ არა ისეთი გენდერული საკითხები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული პროექტის დაგეგმვის ეტაპზე? როგორ მოხდა მათზე რეაგირება?
- 5) რამდენად მიუწვდებოდათ/მიუწვდებათ ხელი პროექტის ფარგლებში შექმნილ პროდუქტებზე/სერვისებზე ქალებსა და მამაკაცებს?
- 6) ხომ არ მოუტანა პროექტმა ზიანი მასში მონაწილე, ან მისით მოსარგებლე ქალებს ან მამაკაცებს?
- 7) განხორციელებულმა პროექტმა ან მასთან დაკავშირებულმა საქმიანობამ შეცვალა, თუ არა ქალების ან მამაკაცების მდგომარეობა? თუ შეცვალა, მაშინ როგორ?

კითხვები ადაპტირებულია განვითარებისა და მოსახლეობის საქმიანობის ცენტრის(CEDPA) პროექტის დაგეგმვის სახელმძღვანელოდან